რა აწუხებს ხალხს ქუთაისში?

ფოკუს ჯგუფის დისკუსიების შედეგები

ოქტომბერი 2020

სიღარიბე და უმუშევრობა

უმუშევრობა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა;

დაბალი ანაზღაურების გამო დაცლილია რეგიონი;

სამუშაო ადგილები ახალგაზრდებისთვის უფროა, ვიდრე შედარებით ასაკიანი ადამიანებისთვის;

პანდემიისას სახელმწიფო დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

„საგანგებო მდგომარეობის დროს მთავრობა ყველა ქვეყანაში ეხმარება მოსახლეობას, რაც ჩვენთან არასოდეს გაკეთებულა. ეს მოხდა პირველად ამ პანდემიის დროს, ადამიანებს მიეცათ საარსებო მინიმალური დახმარება.“

62 წლის ქალი, დასაქმებული.

„ჩემი ტოლი გოგონები სავაჭრო ცენტრში 8 სთ-ის განმავლობაში დღეში 5 ლარზე მუშაობენ, რაც გზის ფულსაც ვერ ანაზღაურებს, ამიტომ ყველა გარბის საზღვარგარეთ სამუშაოდ.

27 წლის ქალი, უმუშევარი.

„მე 11 წელი ერთ კომპანიაში ვმუშაობდი, რომელსაც პრობლემები შეექმნა და დაიხურა. ვეძებ სამსახურს, გაივლი გასაუბრებებს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ შენ მაგივრად თავიანთ ახლობელს იღებენ. ასევე პრობლემაა ასაკი. 40 წელს ზემოთ ადამიანი ითვლება სამსახურისთვის უვარგისად. ახალგაზრდებს ენიჭებათ უპირატესობა. სახელმწიფო სამსახურშიც და ყველგან ასეა.“

44 წლის მამაკაცი, უმუშევარი.

„ მუშაობის მსურველი მეტია, ვიდრე სამუშაო ადგილი და ამიტომ ხელფასებიც დაბალია. ხალხს მუშაობა აღარ უნდა ასეთ დაბალ ხელფასზე და ამიტომ მოსახლეობა ქალაქიდან გაედინება.“

23 წლის მამაკაცი, უმუშევარი.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ხარისხი

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია;

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვა რთულია, თუ კერძო დაზღვევას კარგავ;

ექიმების დამოკიდებულება ფარმაცევტულ კომპანიებზე აზარალებს პაციენტებს.

„სერიოზული წინსვლაა ჯანდაცვის კუთხით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. პაციენტთა გათვითცნობიერება არის მნიშვნელოვანი, მათ უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები. მე მეჩვენება, რომ სახელმწიფომ ამაზე არ იზრუნა და ხშირია შემთხვევა, როცა კლინიკები ბოროტად სარგებლობენ ამით და იმ შემთხვევაში, როცა ეკუთვნის სრულად უფასო მომსახურება ან კვლევა, თანხას ახდევინებენ.“

59 წლის ქალი, დასაქმებული.

“არ უნდა უწერდეს ექიმი ავადმყოფს იმ მედიკამენტებს, რომელთათვისაც სადისტრიბუციო კომპანიები მას ანაზღაურებას უხდიან.“

19 წლის ქალი, სტუდენტი.

„თუ კერძო კომპანიის დაზღვევა გაქვს და შემდეგ დაკარგავ სამუშაოს, ძნელია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მოხვედრა.“

19 წლის ქალი, სტუდენტი.

განათლების სისტემის გაუმართაობა

საჯარო სკოლებში რეგისტრაციის სისტემა გაუმართავია;

მასწავლებლების კვალიფიკაცია და მოტივაცია დაბალია, რის გამოც რეპეტიტორებთან მეცადინეობა აუცილებელი ხდება;

სასკოლო წიგნების უფასოდ დარიგება მნიშვნელოვანი შეღავათია ოჯახებისათვის;

„ყველა ცდილობს დარეგისტრირდეს ქალაქის ცენტრალური უბნის პრესტიჟულ, პირველ და მესამე საჯარო სკოლებში. ერთ წამში ივსება ადგილები. ახლომდებარე სოფლებიდანაც დადიან ამ სკოლებში, მაშინ როცა იქვე მცხოვრებლებს არ აქვთ საშუალება იქ სიარულისა. ამიტომ კლასები გადატვირთულია: ერთ კლასში 36-42 მოსწავლეა. ჩემი შვილი პირველკლასელია და მე გავიარე ეს პრობლემა. გარეუბნის სკოლები იჩაგრება. უნდა ითვალისწინებდნენ საცხოვრებელ ადგილს და ყველა სკოლა იქნება ძლიერი.“

29 წლის ქალი, დიასახლისი.

„უნდა ითქვას, რომ განათლების ძალიან დაბალი დონეა სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც. დღევანდელთან შედარებით უპირატესობას ვანიჭებ საბჭოთა განათლების სისტემას, რომლის დროსაც ყველა საგანი საკმაოდ ღრმად და თანაფარდოვნად ისწავლებოდა.“

59 წლის ქალი, დიასახლისი.

„ჩემთვის საუნივერსიტეტო განათლების სისტემაზე უფრო მეტად ტრაგიკულია სასკოლო განათლების სისტემა როგორც ქალაქში, ისე ქვეყანაში, ზოგადად, მასწავლებლებს, მე მგონი, თვითონ არ აქვთ გააზრებული საკუთარი პროფესიული მოვალეობა., ბევრი მასწავლებელი შემხვედრია, რომლებიც შემთხვევით არიან მოხვედრილი სასწავლო დაწესებულებაში. პირველ რიგში, ასეთ მასწავლებელს სწორად არ შეუძლია პიროვნების ჩამოყალიბება.“

25 წლის მამაკაცი, დასაქმებული.

ბაღებშიც, სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც განათლების მიღება, შეიძლება ითქვას, ძალიან ადვილად არის ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში ძალიან მარტივად და ადვილად აბარებენ, მაგრამ ჩემთვის შემაშფოთებელია კერძო სკოლების მატება, სადაც არის უზარმაზარი გადასახადები, რაც ქმნის საფუძველს ძალიან დიდი სოციალური სხვაობისა, რაც მერე არის დისკრიმინაციის საფუძველი. მე ვიცი, რომ ფინეთში ყველა ბავშვი დადის ერთი დონის სკოლაში, რაც განაპირობებს მნიშვნელოვან წარმატებებს.. ის, რაც საქართველოში ხდება ახლა ამ კუთხით, არის ძალიან ცუდი . გარდა ამისა, საკმაოდ მწვავე და მოუგვარებელია რეპეტიტორობის პრობლემა, რადგან სკოლაში მიღებული განათლება არ არის საკმარისი.“

58 წლის ქალი დასაქმებული.

საყოფაცხოვრებო და ტურისტული ინფრასტრუქტურის უხარისხობა

ინფრასტრუქტურული პროექტები გაჭიანურებულია და უხარისხოდაა შესრულებული;

ტურისტული ინფრასტრუქტურა გაუმართავია.

„სკვერები და გზები კი გაკეთდა, მაგრამ დიდი დრო მოანდომეს და ფილაქნები ისეა დაგებული, მალე აიყრება ხელახლა გამოცხადდება ტენდერები და ისევ ყველაფერი თავიდან დაიწყება.“

23 წლის ქალი, დასაქმებული.

„გაკეთდა ქუჩებში გარე განათება და დააყენეს ლედნათურები, რომელთაც მკვეთრი ნათება აქვთ, არასწორი კუთხითაა დაყენებული და მოსახლეობას მეორე, მესამე სართულებზე აწუხებს.“

23 წლის მამაკაცი , დაუსაქმებელი.

„დიდი გასაქანი არ გვაქვს, მაგრამ პირადად შენზეა დამოკიდებული, როგორ მართავ ამ პროცესს, არის სპორტდარბაზები, ველობილიკები, შეგიძლია წყალტუბოში წახვიდე და დაისვენო, არის სტადიონებიც, კალათბურთის და ხელბურთის მოედნებიც.“

23 წლის მამაკაცი, დასაქმებული.

„ტურიზმის დეპარტამენტი არ ასრულებს თავის ფუნქციებს სათანადოდ, არასწორად გააქვთ ტურისტულ ბაზრობებზე ქალაქის სახე. იხარჯება თანხები და უშედეგოდ, ქალაქს არ აქვს ტურისტული ბილიკი, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მხარდაჭერა არ არის.“

23 წლის მამაკაცი, დასაქმებული.

განვითარების პრობლემები

საჯარო სკოლებში რეგისტრაციის სისტემა გაუმართავია;

პარლამენტის გადატანამ ქუთაისის განვითარება შეაფერხა.

ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გარდაქმნის მცდელობა ჯერჯერობით წარუმატებელია.

„ქუთაისს, როგორც თვითმმართველ ქალაქს, არ აქვს საგადასახადო გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია, ამიტომ მთავრობას არ შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს მოლაპარაკება რომელიმე ადგილობრივ თუ უცხოურ კომპანიასთან და შესთავაზოს ნაკლები გადასახადი. არადა, ეს ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა იმისთვის, რომ კონკურენცია გაზრდილიყო ქვეყნის შიგნით.“

მამაკაცი, 23 წლის, უმუშევარი.

„ქუთაისს უნდა შეეძინა საპარლამენტო ქალაქის ფუნქცია და აეროპორტი ჰაბი უნდა გამხდარიყო (ტრანზიტული ფრენები ევროპა-აზიის ქვეყნებისათვის) ფუნქცია. ახალმა ხელისუფლებამ ორივე ფუნქცია დაუკარგა მას.“

23 წლის მამაკაცი, დასაქმებული.

„ქალაქი დაცლილია, ქალაქს ფუნქცია არა აქვს. რაც შეეხება ახალ უნივერსიტეტს, დაიწყეს 60 ათასიდან, წელს ამბობდნენ, 1000 სტუდენტი ჩაირიცხებაო და ჩაირიცხა მხოლოდ 260. ეს ციფრი ქუთაისს ნამდვილად ვერ აქცევს სტუდენტურ ქალაქად.“

25 წლის მამაკაცი, დაუსაქმებელი.

კორუფცია

ნეპოტიზმის გამო დასაქმება რთულია;

დევნილებისთვის ბინების გადაცემის სისტემა გაუმართავია და კორუფციის ეჭვებს აჩენს;

კორუფცია და მექრთამეობა მოქალაქეებს სახელმწიფოსთან ყოველდღიურ ურთიერთობებში არ ხვდებათ.

„ჩვენთან, წყალტუბოში, რომ გააკონტროლეს და ნახეს სიები, აღმოჩნდა, რომ 2 ბინა ბათუმში ჰქონდა მიღებული, 2 ფოთში და ა.შ. და აქ ცხოვრობდნენ.“

38 წლის მამაკაცი, დასაქმებული.

„კორუფცია ყველა ქვეყანაშია, მათ შორის, აშშ-ში. ამაში გარკვევა რთულია, თუმცა ჩვეულებრივი მოქალაქისთვის ჩვეულებრივი სერვისების მიღების დროს ეს ასე თვალშისაცემი არ არის.“

59 წლის ქალი, დასაქმებული.

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხადრაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ის შეხედულებებს. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCC